დანართი N2

თსუ ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრში შტატგარეშე პოზიციაზე სპეციალისტის (ტექნიკოსი) შესარჩევად კონკურსის ჩატარების წესი

1. **კონკურსის მიზანი**

ა) წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრში შტატგარეშე პოზიციაზე სპეციალისტის (ტექნიკოსი) შერჩევა.

ბ) კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით იქმნება კომისია.

2. კომისიის შემადგენლობა

კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი.

3. საკონკურსო კომისიის ფუნქციები:

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

ა) ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის შტატგარეშე პოზიციაზე სპეციალისტის (ტექნიკოსი) საკონკურსო წესით კანდიდატის შერჩევა.

ბ) აპლიკანტების (ვის მიერ წარმოდგენილი საბუთებიც აკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს) წინასწარი შეტყობინების საფუძველზე გასაუბრებაზე მოწვევა;

გ) კომისიას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ექსპერტი, რომელიც კენჭისყრაში მონაწილეობას არ იღებს.

4. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

ა) კომისია კონკურსანტებს დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემთა შესაბამისობას უნივერსიტეტის ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრში შტატგარეშე პოზიციაზე სპეციალისტის (ტექნიკოსი) მოთხოვნებთან.

ბ) კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის წევრს არ აქვს უფლება თავისი ხმა გადასცეს კომისიის სხვა წევრს.

გ) კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.

დ) იმ კანდიდატებს შორის, რომლებმაც თანაბარი ხმები მიიღეს, კენჭისყრა ეწყობა ხელახლა.

ე) გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

ვ) კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კონკურსანტთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

5. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.